# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1015 2016 წლის 6 ივნისი ქ. თბილისი

## მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე არსებულ საწყლოსნო მონაკვეთზე ტურისტული მომსახურების შპს „ოფუცხოისათვის“ მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული მომსახურების გაწევისას და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონების მართვის უფლებით გადაცემისას საწყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრისა და აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის №173 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-7 და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტების საფუძველზე:

1. შპს „ოფუცხოის“ (ს/კ: 435432391), 5 წლის ვადით, მართვის უფლებით გადაეცეს მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №41.13.31.082) არსებული საწყლოსნო მონაკვეთის (280 მ) ტურისტული მომსახურება და მასთან დაკავშირებული ქონება: ნავმისადგომი პირსი, ტურისტების მოსაცდელი და ნავების შესანახი ანგარი.

2. ტურისტული მომსახურების მართვის უფლებით გადაცემისათვის შპს „ოფუცხოი“ ვალდებულია, ყოველწლიურად გადაიხადოს წლიური ბრუნვის 30%. აღნიშნული გადასახადის ოდენობა და სახელშეკრულებო პირობები გადაიხედება ყოველწლიურად 31 მარტამდე.

3. შპს „ოფუცხოი“ ვალდებულია, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გადასახადთან ერთად, ყოველწლიურად გადაიხადოს ტურისტული მომსახურების მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული ქონების 1.5%, რაც შეადგენს 2 184,75 ლარს.

4. შპს „ოფუცხოი“ ვალდებულია, 2016 წლის პირველ ივლისამდე განახორციელოს არანაკლებ 90 000 ლარის ინვესტიცია და აღნიშნული ინვესტიციის ფარგლებში შეიძინოს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული ინვენტარი.

5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული გადასახადის ფარგლებში, განახორციელოს მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლის საწყლოსნო მონაკვეთზე ტურისტული მომსახურების ბილეთების რეალიზაცია.

6. დაევალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - დაცული ტერიტორიების სააგენტოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაუფორმოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს შესაბამისი ხელშეკრულება.

7. ამ განკარგულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების რეგისტრაცია განახორციელოს შპს „ოფუცხოიმ“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**

ინვენტარისჩამონათვალი, რაოდენობადატექნიკურიპარამეტრები

1. ნავების მინიმალური რაოდენობა - 20 ცალი.
ა) ნავის მასალა - Nitrilon, Hypalon ან PVC.
ბ) ნავისტევადობა - 6 + 1 გიდი;
გ) ტვირთამწეობა - მინიმუმ 500კგ;
დ) ნავის მაქსიმუმალური პარამეტრები - სიგრძე 420 სმ, სიგანე 150 სმ. გვერდითა საჰაერო სექციის დიამეტრი 51 სმ;
ე) საჰაერო სექციების რაოდენობა - მინიმუმ 3+2;
ვ) ფეხის გასაყრელი ქამრები;
ზ) სამაშველო თოკი გვერდითა გასაბერ სექციებზე;
თ) საჰაერო სარქველი - მინიმუმ 5 ცალი;
ი) ნავის ძირი უნდა იყოს ერთიანი, თვითმცლელი სისტემის ნახვრეტების გარეშე.
2. ნავის ინვენტარი:
ა) ნიჩაბი (ვიზიტორის): მინიმალური რაოდენობა და პარამეტრები - 120 ცალი, სიგრძე 145-160სმ;
ბ) ნიჩაბი (გიდის): მინიმალური რაოდენობა და პარამეტრები - 20 ცალი, სიგრძე 160-180სმ.
3. სამაშველოინვენტარი:
ა) სამაშველო ჟილეტი (საბავშვო კისრის ფიქსატორით) - მინიმუმ 120 ცალი;
ბ) სამაშველო ჟილეტი უფროსებისთვის - მინიმუმ 120ცალი;
გ) სამაშველო ტივტივა - მინიმუმ 4 ცალი;
დ) სამაშველო დანა - მინიმუმ 4 ცალი;
ე) სასროლი სამაშველო თოკი (20მ.);
ვ) სამაშველო ნავი ან კაიაკი (შესაბამისი აღჭურვილობით) - 2 ცალი;
4. გიდის აღჭურვილობა: მინიმუმ - 25 კომპლექტი. შემადგენლობა:
ა) წყალგამძლე თერმული ფეხსაცმელი, ნეოპრინის შორტები;
ბ) სამაშველო ჟილეტი - 20 ცალი;
5. ნავის დასაბერი ტუმბო:
ა) მექანიკური - მინიმუმ 10 ცალი;
ბ) ელექტრო - მინიმუმ 2 ცალი;
6. წყალგამძლე რაცია - მინიმუმ 30 ცალი;
7. ტურნიკეტი - 1 ერთეული, რომლის მეშვეობით უნდა განხორციელდეს სანაოსნო მონაკვეთზე ვიზიტორთა დაშვება პლასტიკური ბარათის/ჟეტონის ან შტრიხ-კოდიანი ბილეთის გამოყენებით. ტურნიკიტის მეშვეობით აღირიცხება ვიზიტორთა ზუსტი რაოდენობა.